ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1891402

ნომერი: AR1306370

თარიღი : 01.05.2015

გაცემის თარიღი : 14.05.2015

გაცნობის თარიღი : 14.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის IV მ.რ-ს მიმდებარედ, ონკოლოგიური ცენტრის სამხრეთით ფერდობზე, ნაკვეთი N43 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ფალაჰ ჰასან ჰუსსეინ ჰუსსეინ პ/ნ 01260000024
- საქართველო, ქალაქი თბილისი, სულხან ცინცაძეს ქუჩა, N 43, ბინა 2

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

# გადაწყვეტილება

თქვენი 2015 წლის 1 მაისის #AR1306370 განაცხადის პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო გეგმით #01.14.16.015.138 მიწის ნაკვეთზე მომზადებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გადაწყვეტილება №1143965), შეთანხმებულია პროექტი (ბრძანება № 1752527) და გაცემულია მშენებლობის ნებართვა ინ დივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად საცხოვრებელი ზონა 2 (სზ–2) ფუნქციური ზონისა და პარამეტრების შესაბამისად.

რადგან საცხოვრებელი ზონა 2 (სზ–2) –ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას საკითხი განიხილა „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომამ“, ( ოქმი #19 (07.05.2015.)), რომლის წევრთა დადებითი რეკომენდაციების საფუძველზე უნდა მომზადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება (მოგეწოდებათ მომზადებისთანავე) და გაიცეს სპეციალური ზონალური შეთანხმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად უნდა გაუქმდეს ზემოთაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გადაწყვეტილება №1143965), შეთანხმებული პროექტი (ბრძანება № 1752527) და გაცემული მშენებლობის ნებართვა და ამის შემდგომ ახალი განაცხადის საფუძველზე მოითხოვოთ ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად და დაურთოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება.

გაუქმება : www.tas.ge -ზე > ელექტრონული განცხადებები > სამართლებრივი საკითხები > ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება.

აღნშნული დოკუმენტის გასაუქმებლად უნდა მომართოს იმ პიროვნებამ რომელებზეც გაცემულია აღნშნული დოკუმენტი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.